თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7181949

ნომერი: AR11046367

თარიღი : 12.07.2024

გაცემის თარიღი : 15.08.2024

გაცნობის თარიღი : 15.08.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცაცხვების VIII შესახვევი, N 11;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი მელაძე პ/ნ 01007008494
- თბილისი დავით ბაქრაძის ქ. N 4 ბ. 10

ორგანიზაცია:
- შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“ კოდი: 216313727

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938368 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 12 ივლისს №AR11046367 განცხადებით მომართა გიორგი მელაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938368 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938368 ბრძანებით შეთანხმდა №01.10.18.009.105 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938368 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს საერთო ფართობად 2316.7 კვ.მ-ის ნაცვლად 1182.6 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 1603.7 კვ.მ-ის ნაცვლად 705.5 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 397.8 კვ.მ-ის ნაცვლად 158.8 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 86.5 კვ.მ-ის ნაცვლად 120.2 კვ.მ-ის, დაფიქსირებას. ამასთან, განმცხადებელს სურს ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას კომერციული ფართობი 153.7 კვ.მ. და დამატებულ იქნას დამხმარე ფართობი 123.1 კვ.მ.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ წარმოდგენილი გეგმები არ იცვლება, აღნიშნულ გეგმებზე ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938368 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938368 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და:

1.1.საერთო ფართობად დაფიქსირდეს 1182.6 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 705.5 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 158.8 კვ.მ., .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 120.2 კვ.მ.,

1.2.აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას კომერციული ფართობი 153.7 კვ.მ

1.3. აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს დამხმარე ფართობი 123.1 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938368 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა გადახურვის გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938368 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 მარტის №6938368 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.